ოქმი:**ო31. 3126239001**
თარიღი:**27/08/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N12

ქ. ლანჩხუთი

25. 08. 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები მაია ლომთაძე და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

მოწვეული სტუმარი: მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ომფარეთის N1 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორმეთის N1 ქუჩისთვის ბერი გაბრიელის სახელის მინიჭების შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N3 ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის N4 ქუჩისთვის ქვიშიანის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N4 ქუჩისთვის მშვიდობის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N6 ქუჩისთვის წმინდა გიორგის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N7 ქუჩისთვის თავისუფლების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N8 ქუჩისთვის ანდრია პირველწოდებულის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

9. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

10. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ჩახვაძე/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

13. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ომფარეთის N1 ქუჩისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ აპრილის თვეში საკრებულოში შემოვიდა განცხადებები, რომელშიც ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლის მოსახლეობა ითხოვდა მათი ქუჩებისათვის სახელის მინიჭებას. იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრები ჩავიდნენ ადგილზე-მოსახლეობასთან შესახვედრად. შედგა შეხვედრების ოქმი, განისაზღვრა ქუჩების სახელები, შეიქმნა სიტუაციური რუკები. ჩატარდა კომისიის სხდომა, მოხდა მასალების გადაგზავნა საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად. შემდგომში, ყველა დოკუმენტი საკრებულოს განკარგულების პროექტთან ერთად გადაიგზავნა სახელდების განსაზღვრის სამთავრობო კომისიაში. მან საკრებულოს წევრებს მოკლე განმარტებითი ანოტაციით გააცნო - ეროვნული გმირის-ვაჟა თოდუას შესახებ. ვაჟა თამაზის ძე თოდუა დაიბადა 1971 წლის 14 მარტს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ომფარეთში. სწავლობდა ლანჩხუთის მე-3 საშუალო სკოლაში. რვა კლასის შემდეგ-სწავლა გააგრძელა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. სამხედრო სავალდებულო სამსახური გერმანიაში მოიხადა. შემდეგ სწავლა გააგრძელა არქიტექტურისა და მშენებლობის საერთაშორისო ინსტიტუტში. ამ პერიოდში დაიწყო აფხაზეთში მძიმე დაპირისპირება. 22 წლის ვაჟა თოდუა მოხალისედ წავიდა და ჩაერთო ბრძოლებში. ირიცხებოდა 21-ე ბრიგადის მე-3 ბატალიონში დაზვერვის ოცმეთაურად. ვაჟა თოდუა 1993 წლის 20 ივნისს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულაში ტყვედ ჩავარდა. მტრებმა ვაჟა თოდუა სასტიკად აწამეს, მაგრამ იგი არ დანებდა, მუხლი არ მოიდრიკა. შეძახილებით ,,წინ, წინ“! - თანამებრძოლებს აცნობა მტრის მოახლოება, რომელთაც იმ დღისთვის დაგეგმილი ჰქონდათ უეცარი თავდასხმა ბატალიონზე. ფაქტობრივად, მან თავისი საქციელით, გმირობის ტოლფასი ქმედება ჩაიდინა და თანამებრძოლები სრული განადგურებისა და დაღუპვისგან იხსნა. სწორედ, აღნიშნული ტექსტი განიხილა სამთავრობო კომისიამ და განაცხადა თანხმობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ომფარეთის N1 ქუჩას ეწოდოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი, ეროვნული გმირის, ვაჟა თოდუას სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.
საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 45 (25.08.2026).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორმეთის N1 ქუჩისთვის ბერი გაბრიელის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ სამთავრობო კომისიამ განაცხადა თანხმობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადნიმისტრაციული ერთეულის სოფელ ორმეთის

N1 ქუჩას ეწოდოს ბერი გაბრიელის სახელი, თანდართული რუკის შესაბამისად.
საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N46 (25.08.2026).

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **ვარლამ ჩხარტიშვილი.**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N3 ქუჩისთვის წმინდა ბარბარეს სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ სამთავრობო კომისიამ განაცხადა თანხმობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადნიმისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N3 ქუჩას ეწოდოს წმინდა ბარბარეს სახელი, თანდართული რუკის შესაბამისად.
საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 47 (25.08.2026).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის N4 ქუჩისთვის ქვიშიანის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ სამთავრობო კომისიამ განაცხადა თანხმობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადნიმისტრაციული ერთეულის N4 ქუჩას ეწოდოს ქვიშიანის სახელი, თანდართული სიტუაციური რუკის შესაბამისად.
საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 48 (25.08.2026).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N4 ქუჩისთვის მშვიდობის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ სამთავრობო კომისიამ განაცხადა თანხმობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადნიმისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N4 ქუჩას ეწოდოს მშვიდობის ქუჩა, თანდართული რუკის შესაბამისად.
საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 49 (25.08.2026).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N6 ქუჩისთვის წმინდა გიორგის

სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ სამთავრობო კომისიამ განაცხადა თანხმობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადნიმისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N6 ქუჩას ეწოდოს წმინდა გიორგის სახელი, თანდართული რუკის შესაბამისად.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 50 (25.08.2026).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N7 ქუჩისთვის თავისუფლების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ სამთავრობო კომისიამ განაცხადა თანხმობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადნიმისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N7 ქუჩას ეწოდოს თავისუფლების ქუჩა, თანდართული რუკის შესაბამისად.

კერძოდ; ა) თავისუფლების ქუჩა ბ) თავისუფლების ქუჩის I შესახვევი გ) თავისუფლების ქუჩის II შესახვევი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 51 (25.08.2026).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N8 ქუჩისთვის ანდრია პირველწოდებულის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ სამთავრობო კომისიამ ასევე განიხილა და მივიღეთ თანხმობა, რათა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ღრმაღელის ადნიმისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდის N8 ქუჩას ეწოდოს ანდრია პირველწოდებულის სახელი, თანდართული რუკის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას და მის თავმჯდომარეს **გიორგი ხელაძეს,** ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარ დეპუტატს **ბესიკი კვაჭანტირაძეს** და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს **კახა თედორაძეს** ამ კარგ საქმეში გამოჩენილი გულისხმიერებისა და შეხვედრების ორგანიზებულად ჩატარებისთვის, რასაც დაეთანხმა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 52 (25.08.2026).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა მოქალაქეების შოთა ჩხარტიშვილის და ბესიკ ბურჭულაძის განცხადებები (N:19/302619169-30 10.07.2026წ; N:19/302621551-30: 03.08.2026წ) , რომელიც ეხება ზომამცირე საშუალებების (მცირე ზომის მოტორიანი მცურავი საშუალება (მცურავი ბანინი და ტაბლეტი)) ბაზირების პუნქტის ადგილის განსაზღვრას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფ.ყვავილნარსა და სოფ. გრიგოლეთში. „საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის დამკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N386 დადგენილების დანართი N4-ით განსაზღვრული „საქართველოს შიდა სასაზღვრო წყლებისა და ტერიტორიულ ზღვაში სასაზღვრო რეჟიმის წესების" მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, ბაზირების პუნქტების (მათ შორის რეკრიაციული ადგილებში მოწყობის საკითხს წყვეტს და ბაზირების პუნქტების ადგილს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმართელობის შესაბამისი ორგანო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით. პროექტს თან ერთვის.სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს I სამმართველოს (ფოთი) წერილი, რომლითაც დასტურდება, რომ სამმართველოს ზღვის აკვატორიაში სოფ. გრიგოლეთში და სოფ.ყვავილნარში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო პოზიცია არ გააჩნია.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.
მომსრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 53 (25.08.2026).

დღის წესრიგის მეათე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებულ დანართში ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში" შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

1. დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღემდე შეუსრულდა ან კენჭისყრის დღეს უსრულდება 25 წელი და საქართველოში უცხოვრია 6 თვე მაინც."

2. დანართის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა.ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა.ვ) საკუთარი უფლებამოსილების დელეგირებას ახორციელეს მერიის თანამდებობის პირებისათვის, სხვა საჯარო მოსამსახურეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისათვის, რაზეც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს – მერის ბრძანებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა"-ა.გ", „ბ.ა" – „ბ.გ", „დ.კ", „ე.ვ" და „ე.ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები და ასევე მერის ის უფლებამოსილებები, რომლებიც კანონის

შესაბამისად საკრებულოს მიერ დამტკიცებას ან თანხმობის მიცემას საჭიროებს არ შეიძლება გადაეცეს მერიის თანამდებობის პირებს, სხვა საჯარო მოსამსახურეებსა ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს.“

3. დანართის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. მერიის სამსახურებია:

ა) ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ინსპექტირების სამსახური;

გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

დ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური;

ე) განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;

ვ) შიდა აუდიტის სამსახური;

ზ) ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური;

თ) შესყიდვების სამსახური.“

4. ამოღებულ იქნეს დანართის მე-14 მუხლი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 54 (25.08.2026).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ.** ძან განმარტა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საბჭოს თავმჯდომარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი წევრი.“

ბ) ამოღებულ იქნას მე-5 მუხლის მეორე პუნქტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.
მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 55 (25.08.2026).

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის

ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 ივლისის N1685 განკარგულებით შეტანილი ცვლილებებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 1500000 (მილიონ ხუთასი ათასი) ლარი და მიიმართება ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაცული ტერიტორიებისკენ მიმავალი გზის მოწყობაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიიმართება 78950 (სამოცდათვრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი, სულ (პროექტის ღირებულებაა 3440405 ლარი) მიმდინარე წელს ასანაზღაურებელია 1578950 (მილიონ ხუთას სამოცდათვრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი.

სოციალური სამსახურის მიერ პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის წლის განვლილ პერიოდის ანალიზით (ათვისებულია 171000 ლარი) გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროგრამის სრულად დასაფინანსებლად დამატებით საჭიროა (მიზნობრივი ტრანსფერი) 132000 (ას ოცდათორმეტი ათასი) ლარი, მათშორის შრომის ანაზღაურებაზ მიიმართება 6600 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 ივლისის N37 განკარგულების თანხმობის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 13 აგვისტოს ბ30.30262225001 ბრძანებით დაფუძვნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია“. რომლის დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 90000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი, მაშთშორის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 25650 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გასაწევ ხარჯებზე 62350 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2000 ლარი.

გაიზარდოს მერიის სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების მუხლი 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციისა და მერიის სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსების უზრუნველყოფა განხორციელდეს მერიის შრომის ანაზღაურების მუხლის დაფინანსების 105000 (ას ხუთი ათასი) ლარით შემცირების ხარჯზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის საქონელი და მომსახურების მუხლის 7900 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 7900 ლარით.

აღნიშნული ღონისძიებები უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განიხილა კომისიამ და დადებითად შეაფასა.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N 29 (25.08.2026).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ მის მიერ საკრებულოს სხდომებსა და კომისიებზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები დღემდე პასუხ გაუცემელია მერიის მხრიდან. მან ასევე აღნიშნა, რომ სანიაღვრე არხების მოუწესრიგებლობის გამო, უხვი ნალექის დროს იტბორება სუფსის ადმინისტრაციული ერთეული და საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამონახოს რესურსები ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ საკრებულოს სხდომებსა და კომისიებზე გამოთქმული ყველა შენიშვნა და წინადადება საკრებულოდან გადაგზავნილია მერიაში შემდგომი რეაგირებისათვის.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** განმარტა, რომ ის მერის რწმუნებულთან სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში დავით გუმბარიძესთან ერთად იმყოფებოდა ყველა ოჯახში, ვისაც უხვი ნალექის გამო შეექმნა პრობლემები. მისი თქმით აღსანიშნავია ორი ლოკაცია: სუფსის საჯარო სკოლასთან და ტაბანათში სურმანიძის უბანი, სადაც შემთხვევისთანავე, სამი დღის განმავლობაში მუშაობდა მუნიციპალური ტექნიკა, საქმის კურსშია მუნიციპალიტეტის მერი და მიმდინარეობს სამუშაოები, რათა საფუძვლიანად მოგვარდეს ის პრობლემები, რაც უხვი ნალექის დროს პრობლემებს უქმნის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულს.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 აგვისტო 2026 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 48	[illegible]
2	ვერიკო კვირკველია	11.51	[illegible]
3	მაია ლომთაძე	11 53.	[illegible]
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	[illegible]
5	გიორგი ხელაძე	11 50	[illegible]
6	ალექსანდრე მახათაძე	11 45	[illegible]
7	ზაზა წულაძე	11 55	[illegible]
8	კარლო კვიტაიშვილი	11 50	[illegible]
9	გიორგი იმნაიშვილი	11 35	[illegible]
10	ია მოქია	11:53	[illegible]
11	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	[illegible]
12	ლოლიტა ურუშაძე	11 50	[illegible]
13	ვლადიმერ ნანაძე		
14	კარლო წილოსანი	შვებულებ.	
15	ნინო მშვიდობაძე	11 50	[illegible]
16	ივანე ებრალიძე	11 50	[illegible]
17	ირაკლი ცინცაძე	11 50	[illegible]
18	სპარტაკ კვაჭაძე	11–52	[illegible]
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11:47	[illegible]
20	გოგი მორჩილაძე	11.40	[illegible]
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩხილაძე		
23	ირაკლი ტოროტაძე	11.57	[illegible]

24	ტატო ურუშაძე	11 55	
25	გელა პატეიშვილი	11 05	
26	თენგიზ ურუშაძე	11 55	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	12 : 00	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11 58	
29	სამსონ კვაჭაძე	11 55	
30	გოჩა ჯანაშია	11 55	
31	თორნიკე მითაიშვილი		
32	ჯუმბერ ბლაგიძე	11 50	